გან სხვა რამეც არის, რახცა წარმოდგენის გვაძლევს მა  
შინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზედ. ეგვიპტე აღწევს  
თავის მიზანს და პურნა - მურიაშ ბაბილონის მეფე მართ  
ლოც მის მოყავშირედ რჩება. როდესაც ხეთელიაგან  
განზრახებული ქანანეველები ეგვიპტელთა წინააღმდეგ  
აჯანყებას პირებენიდა ბაბილონის შევლესა სთხოვენ,  
ბურნა - ბურიაშ ფარაოს ატყობინებს ამ ამბავსა და სწერს;  
მამა ჩემ კურიგალცუს დროსაც ასეთიც წინადაღებით  
მოვემარავს ქანანეველებმაც მაგრამ მამა ჩემმა მათ უარის  
შეუთვალია; ახლა მეც უარს ცვეუბნები მათ, როგორც  
მოვაწირე ეგვიპტისა ბურნა - ბურიაშ ძლინით განუმტ-  
კიცებს ფარაოს თავის ერუგულებას, მაგრამ სამაგიროდ  
რასა კირველია; მანც თქოსა სთხოვს, ხოლო ცვევიც მა  
ამავე დროს ბაბილონის მტერთან, ასასურეთთანაც აქვს  
მრავალრაცება. ფარაონ იღებს ასსურეთის მეფის უშურ-  
უბლირთის ელჩებს. ამას გაიგებს ბაბილონის მეფე და სარ  
ყველურს უავლის ფარაოს: მეც და მამა ჩემი თუ ერთგუ-  
ლნი ჰიყავეთ შენი და მამა შენისა, მენ რად იღებ ჩემის  
მრავალრაცების ასსურეთის მეფის ელჩებსა ასსურნი ხომ მონა  
ნი ატან ჩემინო თანაც უმართლოდ იქადის ბურნა - ბუ-  
რიაშ - და გაისტუმრე ეგ ელჩები შინ ტელ-ცალივრიო!  
— როდესაც ბაბილონის მიტინი არ ემუქრებოდა და მეტო

ქვემის არა უწევდა, ბაბილონიც თავისუფლად მისცევდა  
ვაჭრობასა და მეზობელ სახელმწიფოთაგან თხოულობდა  
ბაბილონელ ქარავინთა დაუბრკილებლად მიმოსლვასა.  
შემდეგ მაგრამ არადესაც მიტანის სახელმწიფო დაუცა და მის  
ადგილზე დაგძლიერდა ასეურეთი, ბაბილონის ჩრდილოე-  
თაში გაუჩინდა 1 ძლიერი შეტოქე და მოერი, დაპყრობის  
სურვილებით აღსავსე და მეობაზის ასაურეთის ერთ და  
ამიტომ მსხვილი ბურნა-ბურიაშ ამენებოტკეს წინაშე, რა-  
ხეთელებისა ინ ტრიგები არ უსაბას ჰპალაფდენ სირიაში.  
სავაჭრო დიდ გზებზე და ხშირად ხოცვდენ ბაბილონელ  
მოქარეობნებით და ბურნა-ბურიაშ ტასავირველია ფარაოს  
ამ ტყუჩნებს — ქვეყანა შენია და მერაც იქ ზარალი მომა-  
ყენეს, შენ ხარ ამის პასუხის-მგებელი. ხოლო ეგვიპტის  
უფრო ნა და უფრო სუსტი გებოლა და ქანან ეფე უთა დაწყინებ-  
რებიც აღმართ შევეძლო. მთავარ-მართებლები და გუბირნა-  
ტორები ამ პროვინციათა კი მუდმივ სწერდენ ეგვიპტის  
მთავრობას, მოფევაშველეთ ძალები, ღორიშმ ეს არის დავ-  
კარგეთ ქვეყანათ იდუენი მფლეობით და ეგვიპტის ერთ-ერთ-ერთ  
ეგვიპტის ასეთის მდგრად აღმართების ერთი მიხეზოუანი  
იყო ხეთელთა ძალის გაფრცელება სამხრეთისა ფენ, სადაც  
იგნი ეგვიპტელებს შეხვდენ. პირველი იარაღით 1847  
შეპერდეს დიდ ეგვიპტის იმპერიას ხეოელებმა და სცდი-  
ლობდენ ხალხები და ეგვიპტის მის წინა აღმდეგ სირიაში  
და პალესტინი და ერთ-ერთი ამინის (ამენებოტკე შე-IV-ის)  
დროს დასუსტებული ეგვიპტეც ცეცხლი უშემდე ჯერ-  
ვან წინა აღმდეგობას ახალ ძალას რომელიც ისტორიის  
სამძიელზე გამოდიოდა და ერტეოდა წინა-აზიის საერთ-  
თაშორისო პოლიტიკაში, რაზე ც-71-ც ცტომშეს

ხეთელთა სახელმწიფო, სატახტო ქალაქ ხატტუსას—  
თურქთ, ამ დროს უკვე დიდი ხნის შექმნილა უნდა ყო-  
ფილიყო, უკვე უნდა მომხდარიყო კავშირი ხეთის კვე-  
ყნის ხალხთა ინდოგერმანელ ხეთელთა თაოსნობით, რომ  
ხეთას ასეთი სიძლიერის გამოჩენა შესძლებოდა. მართ-  
ლაც, ჯერ კიდევ ფართო თუთმოსე მე-III-ე იხსენიებს,  
რომ მან მისი მეფობის მე-33-სა და მე-40-ე წელს ხეთის  
„თვადისაგან“ ძლვენი მიიღო, — არა როგორც ფასსალისა-  
გან ან დაპყრობილ ქვეყნის მთავრისაგან, არამედ რო-  
გორც დამოუკიდებელ ხელმწიფისაგან. ერთ ლონგი  
ბოლაზ-კოის ტექსტებიდან ჩვენ ვიცით სახელები  
ხეთელ მეფეთა: ტაბარნას (ანუ ტლაბარნას, ლაბარნას),  
ხატტუსილ (I), მურსილ (I) ხანტელის, ციდანტას, ამშუ-  
ნას, ხუცას, ტელიბინუს, დუდხალის (I). მაგრამ მათი  
მეფობის არც საქმენი, არც ქრონოლოგია და არც რიგი  
სწორად ჯერ არ არის გამორკვეული და იმიტომ ჯერა-  
ჯერობით მათ შესახებ ვერას ვიტავით. ხოლო ხატტუ-  
სილ მე-II-ეს უნდა ემეფნა დაახლოვებით 1400-1380 წ.  
ქრ. წ. და ეს ის ხეთის „თვადი“ იყო; რომელმაც ფა-  
რთო თუთმოსე მე-III-ეს მიართვა ძლვენი. ხატტუსილ  
მე-II-ის ტახტის მემკვიდრე სუბილულიუმა (1380-1350),  
თანამედროვე ფართო მექნეოტბე მე-III-ისა, უკვე პირდა-  
პირ ერევა ეგვიპტისა და სხვა მეზობელთა საქმეებში;  
ალბათ მისი განხრახებით აუჯინყდენ ეგვიპტეს ქანანის  
თვადები; მან გადაირა ეფრატი და გაანადგურა ჩრდი-  
ლოები ნაწილი მიტანის ქვეყნისა. შემდეგ დაორბით სი-  
რია და დიდის დავლით დაბრუნდა შიტტუსას, როდესაც  
აშენხოტბე მე-IV-ე ტახტზედ ავიდა, სუბილულიუმამ ფა-

რაოს მიღოცუვის წერილთ გაუვზავნა, მაგრამ როდესაც სირიის თავაღმა აცირუმ ფარაოს უზენაეს ხელმწიფებას როგორც ვასსალმა თაყვანისაც, სუბილულიუმამ აცირუს ომი გამოუცხადა, სძლია და ხარკიც დაადვა ჩრდილოეთ სირიის, და ბოლოს, განსაკუთრებულის ხელ-შეკრულებით ეგვიპტესთან, სუბილულიუმამ ეს პროვინცია თვით დაიმტკიცა. აგრეთვე როდესაც მოკლულ იქმნა ძლიერი მეფე მიტანისა დუშრატა, სუბილულიუმამ დუშრატას შვილი მატივაცა აიყვანა ტახტზედ, მიათხოვა ცოლად თავისი ქალი და გაიხადა სიძე ვასსალად. „დიდმა მეფემ ლავის ქალის გულისათვის შთაბერა მიტანის ქვეყანას ახალი სული“-თ, ამბობს სუბილულიუმა. სუბილულიუმას ტახტის მემკვიდრის არნუვანტას (I) (1350-1336) მეფობის შესახებ ღირს-შესანიშნავი არა ვიციორა; ხოლო სამაგიეროდ დიდ-მნიშნველოვანი იყო მეფობა მისის ძმის მურსილ მე-II-ისა (1336-1312).

მურსილს მაშინდელ საბერძნეთთან ჰქონია დამოკიდებულება, როგორც ეს სულ უკანასკნელად გამოარკვია ფორმერმა. — მატიანე ხეთისა მოგვითხრობს, რომ მურსილის მეფობის პირველ წელიწადს (ფორმერის ანგარიშით 1336 ქრ. წ.), როგორც კი დადგა ზაფხული, არცავს მეფემ მილავანდის ქვეყანა აჯანყაო. ამიტომ მილავანდას ომი ჰქონდა ახხიაუვას მეფესთან. მე ჯარი გავგზავნე და მიღავანდა დავამარცხე და დავლა წამლვიდეო. — აქედანა სჩანს, რომ ახხიაუვას მეფე და მურსილ მოკავშირენი ყოფილან, ხოლო ახხიაუვა იგივე ახაია, ხებერძეთი, და აზიაში მისი სამფლობელო მხოლოდ პამფილია შეიძლებოდა ყოფილიყო, შემდეგ კი მურსილ ომით

მიღის მალავანდის ქვეყანამდე და ანგარიშებს ასწორებს ახნაუვას შეფესთან, რომელსაც ზეთურ ტექსტში იყო დატვირდება Tavagalavas, ფორმურის პზრით ეტეოვლეს. ამ Tavagalavas-ს ელაპარაკება მუსიკილ და უწოდებს მას „შმაღ“, ააიცა გვაჩვენებს, რომ ეს ეტეოვლეს დიდი მეტე ყოფილია, თანასწორი ხიტის დიდი მფისა, და ვამფილია მხოლოდ ერთა აზაური პირვენტაში მისი დიდი სამეფოსი. — მეორეს მხრით მუსიკულ ეგვიპტესთან ჰქონდა საწინააღმდეგო ინტერესები და სცენილობდა ხელ-შეკრულებებით შეეწესარიგებია თვისი დამოუკიდებულება ეგვიპტესთან. შავარდ, როგორც სიანს, მაღა დარჩვეულა ხეთასა და ეგვიპტეს შორის მშენდობრებობა.

ეგვიპტეში ფარაო მენენეტე შე-IV-ეს სუვერენის უძლევებ დაიწყო რეაქცია მის სუვერენიტეტის წინააღმდეგ: აღსდგა კვლავ ეველი სირწმუნობა: ღმერთს ამონს, უარყოფილს ენნატრის მიერ, კულტურულ ციფრების სტრუქტურას მდვრელობამ დაიბრუნა ძველი უზლებინი და უკვიდევ- განი, რეზიდენცია მეფისა ისევ თემში გადამიტონებულ და შე-XX-ე დინასტიის ფარაო ხელმისაწვდომი ცენტრი გინგილისა ეგვიპტე. და ამონას ახლ ემუს სიელმიწიფოს უფასოსას უპირველეს ყოველისა მათ კულტურით ხეთულების მოუნდებოდა გრაფიკა: ცუკი საც (1312-1292) და- მარცხ ხეთულები და დაიბრუნა მის მიერ წილმეული მქ- ნიანი და ფინანსი. მისი მოწინააღმდეგ უკიდურება მოვა- მუსიკილ იყო, ხოლო მუსიკი ცენტრისა მოვალეობუ- (1312-1380?) და უკიდურები და მეტოვე თეობობის ცენტრ სერე ისა და შემდეგ რამზე მე-III-ის (1292-1225) და- ზეში მოანდობა წაურთმისა ხეთულობათვის ჩრდილოეთი

სირიაც-დიდი ჯარით წავიდა რამზეს ეგვიპტიდან დღახ-  
ლოვებით 1288 წ. ქ.წ. და შევდა მუვატტიალუს კა-  
დე შთან მდინარე თრონტელა აქ მოხდა დიდი ბრძოლა,  
რომელშიც ჯერ ხეთულებით სასტიკად და დამარცხეს ეგ-  
ვიპტიულები, მაგრამ დავლით გატაცებულებმა ვეღარ გა-  
ზომებს დრო, რომ რამზესისა და მისის ჯარის ტყვედ  
წიფვანა მოესწოროთ. ფარაონ დაგვიანებულმა ჯარებმა მო-  
უსწორებს ხეთულებს და დახხვითეს უკან. ბრძოლის ველი  
ამგვარად ეგვიპტელებს დღანჩი. მაგრამ რამზესმა მაინც  
უკარისია მიზანს. ხეთულები ისეთმა დამარცხებამ  
მრულიადაც უკარასხესა, უკრა მათი გავლენა მოსპო-  
მერიებაზიანი, და დებრუნდა თუ არა რამზეს ეგვიპტები,  
რეისევ იღეთქმ ისევ ჯანყებამ სირიიდა და პალესტინაში  
და თითქმის დელტამდის დაწყედამ ჯანყების ტალღები.  
რამზეს უკიდევ 15 წლის ბრძოლა დასჭირდა ხეთულებიან,  
სინაზიანი ჩამოვარდებოდა ხეთისა და ეგვიპტეს შორის.  
12 ხეთის მეუკე მუვატტალუ მოკლული იქმნა და ტახტზედ  
უკარისის მახას გრეისილ მე-14 (1280-1263), რომლის  
შეფუნბის დღისა დიდი პრესულობა იყო ხეთის ქვეყანა-  
ში, და ეხტოტუსილიც დასთანხმდა ევფიოდესთან მიზანი.  
დახსლოვებით 1272 წ. ქ.წ. წ. უშერედ სწორედ ის უკა-  
ხლშედ დაწერილი ხელ-შეკრულება, რომელიც ზემოდ  
მოვისხენიეთ და რომილის ტექსტი ეკვატორიალური კარნაცის  
ტახტზედ არის დაცული. ხატტუსილმა ბაბილონის მეფეს  
კარაშმან-უნლილ მე-11-საც აცნობა თვისი ზაფი ეგვიპტე-  
თან და ატყობინებდა მას: ჩვენ (მე და ფარაონ) ძები ვართ  
და მტრის წინააღმდეგაც ერთად ვიბრძოლებთ და მეფობარ-  
საც ერთად გვაუწევთ მეფობრობისათ. მი ხელ-შეკრულე-

ბასცუწოდეს ჯესათ კუნის ხელ-შეკრულება მეგობრობისა.<sup>11</sup>  
 იგი შესდგება 30 მუხლისაგან, რომლებითაც განსაზღვრულია დაწვრილებით მომავალი დამოკიდებულება ეგვიპტისა და ხეთისა. ზავი და მშვიდობა უნდა ჩამოვარდეს უკუნითი-უკუნისამდე<sup>12</sup>; ძველ მტრობას ბოლო უნდა მოელოს; ხელ-შეკრულება სავალდებულოს შორიგებულობა შორის; ხელ-შეკრულება უსათუოდ უნდა აღსრულდეს; ეგვიპტე და ხეთი მოვაგ შირენი არიან და ურთი-ერთს ჯარებით ცეხმარებიან მტრობა წინააღმდეგ; ჯარით მიშველება სავალდებულოს ორივე მხრის საოცნებისა არა მარტო გარეშე მტრის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე წინაური მტრის წინააღმდეგაც; გაჭცეულნი და თავ-შეფარებულნი ეგვიპტიდან ხეთაში და ხეთიდან ეგვიპტეში ორივე მხარემ უნდა გადასცეს ურთი-ერთს, იქმნებიან ეს გაჭცეულნი და თავ-შეფარებულნი თავადნი თუ მდაბიონი-სულ ერთია, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ იგინი არც მოკლულ და არც დასახიჩრებულ არ იქმნებიან. მოწმად დასახელებულ არიან ორივე ქვეყნის ღმერთნი და ეს ღმერთნი გაუწყრებიან მას ვინც ხელ-შეკრულების დაარღვევს, ხოლო დამცელება და აღმასრულებელს ხელ-შეკრულებისას ყოველივე მაღლისა და სიკეთეს მიანიჭებენ, და სხვ. — ეს ხელ-შეკრულება პირველი დაზღვი ხელ-შეკრულებაა მარ სახელშწიფოს შორის, ასაერთო მორისონ ხასიათისა, რომელიც კი ჩვენ ვიცით. შესანი შნავია იგი უმოავრესად მით, რომ იგი გვაჩვენებს უძველეს ხალხთა მხალალ ზნეობასა და ადამიანობას; ხუთმეტი წლის მინის შემდეგ იკვრება მათ შორის ასეთი ჰუმანური ხელ-შეკრულება და სრულ-

დებატკიდებულების გენერალური კომისიის იმუშავ ადგ  
— ცხრილი ებბილობის სატრუსილუმ მეფე ხეთისა ცრიექცე  
ვა ისეთი პატივით, როგორც ეგვიპტეს. ზემოხსენებულ  
წერილ შეიცვალება მას არ არის: თუ კადა შმანენლი-  
ლის შვერლის ცადან-ცურგუს მცირე წლილიანს, არა და  
უმცირეს მეფე აგრძელება შაშინების აღარმას ურს კავშირი და  
მეფე აგრძელობა ამბეილობის თმის შებილობის მინის ტრანსიტი ი  
მარდუქ-ბალათუმ იწყინ ასე სერია კულტურულ ხეთის მეფის ჩადა  
უბასუნა გამშენებული კულტურული ავტობორიფურებს, არა მედ  
ვითარება მატონი გადასახლება და მაგრამ მალუ ბაბილონის თმი ც  
კარგი განწყობილება ბლაგურია ხეთის მეფე მედა-ზაბილი-  
ნის კარანტენის და მატიდან დარღონის თმი უგვიპტის მაგივრად  
ახლა თის ზე უკვდა მფერე კულტობას ადა თუ რამე უშეემოხვევ  
ფორა ამ აქარავნებს ენგი თუ კულტობების მგებელი, მორს დფე-  
ნაც ჩინდგანი თუ კერთ ამ რომოლის ცემდევგა ხეოვლებს  
დარტა და თარი ა ეჭვიშე დელუშა სა ტრუსილ, თუ მაგალითად,  
თანახმად მისილოს იხაჩვა ბაზილინის მეტის თავის ას-  
კუთარ ვასალის წინააღმდევ ჩდა პასუხისმისთხოვოს მე  
უცანას კედოს მიერთონ ის დალით, უგრეთვე მოგი გაბილონს  
წინააღმდებარ აძლევს, ერთი და ჩარმოლინ ხეთამ და ბაბი-  
ლონში საერთო მტრის წინააღმდევ. ამ ძალითო მტრის იგი  
არ ახასიერებს, ამ დღია მა მტრები გრასა კვირველია ას სურეთია,  
უკეთ დამწყები) ჭინა-აზიაში დღის ჩიმუალდნილ: მშე-  
ღობინის გადა და თარი უგრეთვე მოგი გაბილონს — და რჩიგან სხვები ამ მოწო-  
და და კასტელმიწიფლებრივ საკიათისა მიწერ-მოწერისა და  
ძევლ მიწერ მოწერის მოწერის კუმეტესა, ბაბილონსა და  
ასსურეთსა შეა, რა მეტად უმეტესა ნაწილად ოქროს  
ოხოვნა და თინ ტრიგებია ხეთელები მართლაც სახელმწი-

ფო ხალხი ყოფილა, როგორც ირკვევა ჯერ შედარებით იმ მცირე მასალიდანაც, რომელიც მათ შესახებ მოგვეპოვება.

მეგობრობის ხელ-შეკრულებას ეგვიპტელები და ხეთელები ჰატიოსნად ისრულებდენ. ხელმწიფის კოლებმა წერილებით მოიკითხეს ურთი-ერთი. რამზეს შე-II-ემ კანონიერ მეუღლედ მოიყვანა ხატტუსილ მე-III-ის ქალი, რომელიც მამამ თვით ჩამოიყვანა ეგვიპტეში და იქ დიდი ქორწილიც გადაიხადეს. დედოფალმა დიდი სახელი დასტოვა ეგვიპტეში. სიკვდილის შემდეგაც მას პატივით იხსენიებდენ. რამზეს შე-II-ეს აღარასოდეს აღარ უბრძოლია ხეთის წინააღმდეგ. რამზესის მემკვიდრე მერენპრაჲ (1225-1215 ქრ.წ.) მეგობრულადვე იყო ხეთასთან განწყობილი; მან დამშეულ ხეთას პურიც კი მიაშველა გემებით. მეორე მხრით არც ხატტუსილის მემკვიდრეები დუდხალიას (1263-1225) და არნუვანდას (1225-1200) დასცემიან არასოდეს ეგვიპტის საზღვრებს. მაგრამ აქ უკვე დიდი ხეთის სახელმწიფოს ბოლოს ვუახლოვდებით.

დუდხალიამ ამურრუს მეფე იშტარაასთან დასდვა ხელ-შეკრულება ასსურეთის მეფე ტუკულტი-ნიმურტას მიერ ბაბილონის დაბყრობის (1259 წ. ქრ. წ.) უწინარეს და ეს ხელ-შეკრულება ბევრი მხრით არის საინტერესო: „და მეფენი, რომელნიც სწორნი (?) არიან ჩემნი, მეფე მისრისა (ეგვიპტისა), მეფე კარა-დუნის (ბაბილონის) ქვეყნისა, მეფე ასსურეთისა და მეფე ახეიაუფას ქვეყნისა. თუ მეფე მისრის ქვეყნისა მზის (ხეთის მეფის) მეგობარია, მაშინ იგი შენი მეგობარიც უნდა იყოს; მაგრამ თუ იგი მზის მცერია, მაშინ იგი შენი მცერიც უნ-

და იყოს. და თუ მეფე ვარა-დუნიას ქვეყნისა მზის მე-  
გობარია, მაშინ იგი შენი მეგობარიც არის. მაგრამ თუ  
იგი მზის მტერია, მაშინ იგი შენი მტერიც არის. რო-  
გორც მეფე ასსურეთის ქვეყნისა მზის მტერია, ისევე უნ-  
და იყოს იგი შენი მტერი. შენი ვაჭარა არ უნდა შევი-  
დეს ასსურეთის ქვეყანაში, არც მისი ვაჭარი უნდა შე-  
მოუშვა შენს ქვეყანაში. ვერც შენ ქვეყანაზედ უნდა გა-  
იაროს მან. მაგრამ თუ მაინც შემოვიდა შენს ქვეყანაში,  
დაიჭირე და მიიყვანე მზესთან. ეს სიტყვა „შენ ფიტდ  
უნდა დაგედვას“—ო. — აქ ნათლად პრის დახატული პოლი-  
ტიკური მდგომარეობა მაშინდელი დიდი ხეთის სახელმწი-  
ფოსი: მტრობა მისი ასსურეთთან, დამოკიდებულება ბა-  
ბილონთან და ახაიასთან, რომლის პროვინციაც პჩიაში  
პამფილია ყოფილა, როგორც ეს სამხრითლიანად ჰერნია  
ფორმერს. ხეთის მეფე თავის სწორად სოველის საბერძნე-  
თის მეფესაც, მაშისადამე საბერძნეთი ყაფილა მაშინ დი-  
დი სახელმწიფო, რაღანაც პატარა პროვინცია პამფილი-  
ისა ვერ ჩაითვლებოდა დიდ სახელმწიფოდ, და მისი და  
სხვა მეტობელ დიდ სახელმწიფოთა მტრობისა ან მეტო-  
ქეობის შიშით დაუდევია დუღხალიას ეს ხელ-შეკრულება  
ამურრუს, შუა-სირიის მეფესთან. — ბოლაზ-კოის ტექსტები  
კიდევ შემდეგ ცნობებს გვაძლევენ დუღხალიას მეფობის  
შესახებ. მაღუვატტას, თავადი სამხრეთ ვარიაში მდებარე  
ქვეყნის ციპჰასლა-სი, რომელიც მოსაზღვრე იყო დასავ-  
ლეთ ლიკიაში მდებარე ქვეყნის დალაუგა-სი, განძევებულ  
იქმნა თავის ქვეყნიდან ახხიას მეფის ატტარისსიას მიერ.  
მაღუვატტა მეგობრულად მიიღო ხატტის შეფერ და ისევ  
დაუბრუნა ქვეყანა, ხოლო პრობა ჩამოართვა, რომ ატ-

ტარისსიას ვასსალი არ გახდებოდა არტარისსია შინკერ  
ანებებს თავს ამ ქვეყანას და 100 გემითი უფლიავ დაცულები  
მაღუვატტას. მაგრამ ხეთის მეფე უშენელება მაღუვატტას.  
არტარისსიას მარცხდება და ბრუნდება თავის ქანაში.  
— აქედან ცხდადა სჩანს, ოთმ ბერძნებს მაშინ კარის  
პირდაპირ მდებარე კუნძულების შეურიაზ; როდოსი, კონი  
და სხვანი, და მარტლაცია, შენიშნებს ფართები, იონი-  
ადაში II, 653-680 აღნიშნული კუნძულები, მარტლანაც  
მებრძოლნი ეშველებიან იგბევინონს მარტლეთის კუნძულე-  
ბია: როდოსი, სიმე, ნისირის, კრიპალის, კონის,  
და სხვ., ხოლო არცერთი ჩრდილოეთის კუნძული — სა-  
მოს, ხიოს და ლესბოს. და დაზღვალის დრ მისმა შეის-  
მა არნუვანდამ კვლავ დაიმორჩილეს არცეს ტერნები,  
რომლებიც ხატტუსილის დროიდან დამოუკიდებელი გახ-  
და. და როდესაც მათ დამორჩილეს ქვეყანა სენა იდე-  
მოსავლეთი პისიდია), ასერიუსს მეფემც უკან დამხმა,  
ამბობს მატიანე, — აღბად პეტელისა კენია — არტარი-  
სიას ანუ არტარისიას ახასის მეფე უკიდევ გვხვდება არნუ-  
ვანდას მეფობის დროს (1225-1280). შემოხსენებულ მა მა-  
დუვატტამ, რომელმც არცავის ქვეყნებიც მიღება, გაანა-  
დგურა ილასი (კუნძული კვიპრისი), რომელსაც დაუცენ  
არტარისსიას და „ბიგაის კაცი“ კუნძული კი მუვატ-  
ტალუს დროიდან ხეთის კუნძულიდა. ბიგაია ნაწილი  
უფლიავ კუნძულ კვიპროსისა, ფორმერის აზერთ სომ-  
ხაია, ხოლო „ბიგაის კაცი“ — არტარისსიას ვასსალი. დაუ-  
ლის, რომელიც წიმოუღია მაღუვატტას, მოითხოვს ხეთის  
მეფე არნუვანდას, რადგანიცა, ამბობს ხეთის მეფე „არ-  
ტარისსიას და ბიგაის კაცი“ სა-ჩ-ე-რაში ეს (გერებ, აი-

დოსტ) არიანთ ე. ი., დამოუკიდებელი ნიმდვილად მარტო ატტარისსიას იყო დამოუკიდებელი, ბიგაიას კაცი კი ვასსალი დამოუკიდებელ ატტარისსიასი, ხეთის მეფის წირმოდგენით მაშასადმე ამით თვითონაც დამოუკიდებელი ხეთისაგან), ხოლო მაღუვატტას მზის (ხეთის მეფის) მოსამსახურეთ. — ამგვარიდან ბოლაზ-კოის ტექსტებიდან მტკიცდება, რომ მე-IV-XIII-ე საუკ. ქრ. წ. საბერძნეთი დიდი სახელმწიფო ყოფილა, რომელიც სცდილობდა მცი-რე-აზიაში ქვეყანათა შექმნასა, და ამ ნიადაგზედ ჰქონდა მასთან ხეთის ტან მტრობდა და ხან მშვიდობიანი ბეზობ-ლობა. ეს ეპიკა ტროის ბრძოლათა ეპოქაა და აგამემნო-ნის მამასაც ხომ ატრეუს ერქვა. ხოლო რამდენად ახ-ლოა ჭეშმარიტებასთან ის აზრი, თითქოს Atreus და Atarissas იგივე სახელი რყოჩ, რა Pavagatavas—Eteok'les და სხვ., ამის დამამტკიცებელ საბუთებს თვით ე. ფორტერი-საგან მოველით, რომლის უიგნიც „Die Arzaova-Länder, Assava und die Griechen“ მარც უნდა გამოვიდეს და რო-მელიც იმედია მკვიდრ-საფუქველს ჩაუყრის ყველა ამ მის მიერვე დაყენებულ პრობლემათა გადაწყვეტას.

არნუვანდას ნუკანასკნელი დიდი მეფე იყო ხეთისა, რომელზედაც ცნობები მოვცებოვება. მისმა მემკვიდრეობ-მა როგორ იმეუქს, ან რა მოხდა მათ მეფობის დროს, ჯერ-ჯერ ითმიო არ ვიციო წირწარებიდან. ვიციო მხოლოდ, რომ დიდი სახელმწიფო ხეთისა ფარაო რამზეს მე-III-ის (1198-1167) დროს დაემხო. იგი დასცეს ალბათ დასავ-სუთიდან, ზღვიდან და ხმელეთიდან ანატოლიაში კვლავ შემოსეულმა ხალხებმა, რშეიძლება ფრიგიელებმაც, და იმ დროიდან დღიდა სახელმწიფო ხეთისა ილარისოდეს არსე-

ბულა მცირე-აზიაში. დარჩა მხოლოდ პატარა სამთავრო-  
ები ჩრდილოეთ სირიაში, ოოგორუ მაგალითად კარხემი-  
შის სამთავრო, ნავრამ გაძლიერებულმა ასსურეთმა ხან-  
გრძლივი ბრძოლის შემდეგ ამ სამთავროებსაც მოულო  
ბოლო. მე-XII-ე საუკუნიდან ასსურეთი გამოდის უკ-  
ვე დიდ პოლიტიკურ და სამხედრო ფაქტორად წინა-აზი-  
აში და, სხივრავს რა ბაბილონს, მოელს წინა-აზიაში ავრ-  
ცელებს თავის ბატონობას. იპყრობს ბოლოს ეგვიპტესაც,  
და სახორციელდება მოსვენების არ იძლევს წინა-აზიის ხალ-  
ხებს, სანამ თვით არ დაინთქმის საუკუნოდ მედელთაგან 606 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

მათ ერთგული არია. კულტურული ცენტრი ინდ ცენტრი მათ  
ას დრო აუცილ ძირით იარა მა მდგრადი დროის ცენტრი  
და ას აუცილ ძირით იარა მა მდგრადი დროის ცენტრი.

### ხეთის კულტურა.

თეთრი აუცილ ძირით იარა მა მდგრადი დროის ცენტრი  
და ას აუცილ ძირით იარა მა მდგრადი დროის ცენტრი.

კულტურა ხეთელთა არა გვაქვს გამოკვლეული ისე  
დაწვრილებით, ოოგორუ კულტურა ეგვიპტელთა ან ბა-  
ბილონელთა, რაღვანაც მასალები მის შესასწავლად ჯერ  
კიდევ არ მოიპოვება საკმარისიდ. მაგრამ რაც ვიცით ამ  
კულტურისა, ისიც კმარა, რომ ლირსეულად მაინც და-  
ვთასოთ იგი. იგი ჩამორჩება ოოგორუ ეგვიპტისა, ისე  
ბაბილონის კულტურისა, ოომელთა გავლენაც მან განი-  
ცხდა, და ჩამორჩება გაცილებით მეტად ბერძნთა კულ-  
ტურის, თუმცა ამ უკანასკნელზედ მან თვით იქონია  
არა მცირე გავლენა. გავლენა მისი აგრეთვე საგრძნობე-  
ლი იყო ასსურეთისა და შეიძლება ებრაულ კულტურა-  
ზედაც, თუმცა ნაკლები, ციდრე გავლენა ეგვიპტისა და

ბაბილონის კულტურათა ხეთის კულტურაზედ, მაგრამ ლირებულება ამის უკანასკნელისა მაინც დიდია. ხეთური კულტურა თავისებუროა და არა მონურად გადაღებული მეზობელ კულტუროსან ერთაგან.

**ლურსმული წერილი** ხეთელებმა ბაბილონელთაგან გადილეს, მაგრამ ისეთნაირად შეუთანხმეს ხეთის ენათ ბგერებს, რომ შეგვიძლია ვსოდეთ: არსებობს „ხეთური“ ლურსმული, განსხვავებული ბაბილონურისაგან, და თვით ხეთის ქვეყნის სხვა და სხვა ხალხთა ლურსმული განირჩევიან ურთი-ერთისაგან.— ხეთელები სწერდენ აგრეთვე ჰიეროგლიფებით. მაგრამ ჯერ არ ვიცით, თუ რომელ ხეთურ ენაზედა სწერდენ ამ ჰიეროგლიფებით, რომლით წარწერილი ნაშთები ჩრდილოეთ სირიამდეა გაბნეული მცირე-აზიაში. მეცნიერთა ცდამ ამ ჰიეროგლიფთა წაკითხვისათვის — სეისისა, თომსონისა, ფრანკისა და სხვათაც ჯერ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი და აძირომ არც შინაარსი ვიცით ხეთურ ჰიეროგლიფიურ ტექსტთა. ხოლო არის ნიშნები, რომ ეგვიპტურ ჰიეროგლიფიურ წერილის გავლენით უნდა იყოს შექმნილი ხეთური ჰიეროგლიფიური წერილიც, მაგრამ იგი ხეისურია და არა ჰირდაპირ წარმომდგარი და გინვითარებული ეგვიპტურისაგან.

**ხეთურ მწერლობაზედ** ცოტა რამ ზემოდა ვსოდეთ და ბევრის დამატება არაფრისა შეიძლება, სანამ მეტი მასალა ხეთურ ლურსმულ ტექსტთა არ იქმნება შეგროვილი და შესწავლილი და სანამ არ იქმნება წაკითხული ხეთური ჰიეროგლიფები. შინაარსი იმ ტექსტთა, რომელთა წაკითხვა და შესწავლა აქამომდე შესაძლებელი იყო,

დაახლოვებით იგივეა, რაც ბაზილონიურ-ასსურულია: სარა  
 წმუნოებრივი, იურიდიული და სხვ., რაცა ძრავის და  
 ნახ. გვაძლევს ხეთელთა მიერ აღსრულებულ საქმეებზედ  
 და რაიცა ნათელსა ჰქონს ბავრ ბნელ საკითხს, წინააზრი  
 ის გათხოვისას, არა სარწმუნოებისა, იხასიათებულებრივ  
 წყობილებისა და სხვ. დაპლატიური გვერდი მიწერ-მო-  
 წერას ბაზილონურ ენაზედ და ხელაშეკრულებანი ხეთის  
 მეფეთა მეზობელო სახელმწიფო ეპისკოპოსან და აგრეთვე ნასა-  
 ლობთან მაშინდელ საერთაშორისო დამტკიდებულებათი  
 სურათს გვიშლიან თვალ-წინა თარგმანები ბაზილონური  
 დან-შელოცვათა, სიტყვა-კაზმულ მწერლობის საუკეთე-  
 სო ნაწარმოებისათვის გვილეა მეშის და შეიძლება აგ-  
 რეთვე სხვა ნაწარმოებთა, რომელთა „ხელური“ ვერსია  
 ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი, გვეჩვენ ებენ, ირომა ხე-  
 თელნი უკვე ნაზიარებნი იყვნენ დადას ბაბილონურის  
 კულტურისა, ისე როგორც მათი ხელოვნებანგვაჩვენებსა  
 რომ მეზობელ დიდ კულტუროსან ერთი ნაყოფიერი გავ-  
 ლენა ამ დარგშიაც განუცდიათ ხეთელებს, ის განსაკუთ-  
 რებით კი ეგვიპტის ხელოვნების დაგლენა საუკი-  
 ლო ხელოვნება, ხეთელთა მიუხედავად უცხოავისენი-  
 სა მარნუ არიგინალური იყო, „ხეთური“, და ამ ხეთური  
 რიგისანი არიან უმეტესნი ნაშონი ხეთის ხელოვნებისა,  
 რომელიც უცხოურუნიან ეპოქას ხეთის პოლიტიკურ ძლიე-  
 რებისას. ნანგრევები ბოლაზ-კლისა, სადაც იყო ძველი დ  
 ხეთის სატახტო ქალაქი ხატტუსას, აღწერილია და შე-  
 სწავლილი გვრმანელ არქეოლოგის ატტა პუხშტეინის  
 მიერ: თაღებიანი კედლები ქალაქისა და თაღის ორივე  
 მხრით ოთხ-კუთხიინი კოშკები, რაიცა შეიძლება იცოს



ასეთი გამოსახულება ლვთაებისა ასსურელებმა ხეთელთა-  
გან გადიღეს, ხეთელებმა კი ეგვიპტელთაგან. აგრეთვე  
გამოხატულებანი საიქიოს მცხოვრებ სულთა და სხვ. ეგ-  
ვიპტურია ხეთურ ხელოვნებაში, ხოლო ცილინდრებსა  
და ბეჭდებს ბევრს თუ ბაბილონური გავლენა ეტყობა,  
ბევრიც ორიგინალური ხეთურია და ასსურულ ბეჭდებსა  
და ცილინდრებს სწორედ ეს ხეთური გავლენა ეტყობა,  
— მოტივი ლომის ზურგზედ მდგარ ლვთაებისა, მაგ. მზის  
ლჟერთისა და სხ., — რასაც ბაბილონურ გავლენას ასსუ-  
რულ ხელოვნებაზედ ვერ მივაწერთ. მსგავსადვე ძველი,  
ტლანქი სფინქსები და ლომები, რომელთაც ხეთელები  
სდგამდენ ხოლმე სასახლეთა კარის წინ, თუმცა ეგვიპ-  
ტის გავლენით არიან შექმნილნი. მაგრამ, როგორც არა  
ვსთქვით, ასსურელებმა ხეთელთაგან გადიღეს იგინი და  
ასსურულ ხელოვნების საუკეთესო შემონაქმედი სწორედ  
ის კოლოსსებია, ასსურეთის შეფეთა სასახლეების შესა-  
ვალში რომ იდგა.

ხეთური რელიეფები, ადამიანთა გამოსახულებანი  
და აგრეთვე გამოსახულებანი ლმერთთა ძვირფასს ცნო-  
ბებს გვაძლევენ არა მარტო ხეთურ ხელოვნების ხასიათ-  
ზედა და განვითარებაზედ, არამედ ხეთელთა ტიპებზედ,  
ტან-საცმელზედ, სამკაულებზედა და საჭურველებზედ.  
ამ რელიეფებიდან ვიცით, რომ ერთი ტიპი ხეთელისა  
შუბლ-დაღაწეული, დიდ-ცხვირი იყო. მაგრამ მას ჰქონდა  
თხელი ტუჩები, პატარა და ზომიერი პირი, და მისი დიდი  
ცხვირიც სქელი არ იყო. ეგი ამით განსხვავდებოდა ერ-  
თას მხრით სქელ ცხვირ და ტუჩებიან სემიელისაგან და  
შეორეს მხრით სწორ-შუბლიან ინდოგერმანელისაგან.

ანთროპოლოგთა გამოკვლევით ეს ტიპი იყო აგრეთვე მოკლე თავიანი, ტიპი ბრახიკეფალთა, რომელსაც ქართველებიც ვეკუთვნით. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, თითქოს ჩვენ და ეს ხეთელები ერთსა და იმავე ეთნოგრაფიულ ჯგუფს ვეკუთვნოდეთ. ბრახიკეფალთა რასას ბევრი სხვა და სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფი ეკუთვნის, ხოლო ქართველთა ერთ თავის მხრით მრავალ რასიულ ელემენტთაგან შესდგება და პრახიკეფალთა არა ერთი, არამედ მრავალი ტიპია საქართველოში ქართველთა შორის. ამ ტიპთა შორის მოიპოვება, უკველია, აგრეთვე ხეთური ბრახიკეფალი ტიპი და მართლაც ბევრსა ვხედავთ ჩვენ შორის ზემო აღწერილ ხეთურ ტიპსა.

ხეთელ მამაკაცს ეცვა მოკლე, უსახელო ქულაჯა; წელზედ ბრტყელი ქამარი ჰქონდა შემორტყმული; ქამარზედ ეკიდა გრძელი ხანჯალი, რომელიც ძლიერ მოგვაგონებს ჩვენებურ ხანჯალს; ფერხთ ეცვა გრძელ-წვეტიანი ფეხსაცმელები (წვეტიან ფეხსაცმელებს ჩვენში ხომ დღესაც ატარებენ); ხშირად სამკაულად მარჯვენა ხელზედა და მარცხენა ფერხზედ ბრასლეტებიცა ჰქონდა წამოცმული; თავზედ ეხურა მაღალი და წვეტიანი ქუდი. — დედაკაცს გრძელი ტანისამოსი ეცვა და ხშირად ვხედავთ რელიეფებზედ ქალის ისეთს თავ-საბურივსაც, რომელიც მაღალ, ბრტყლად ჩაკეცილ ქუდსა ჰგავს. — ხეთელები წვერ-ულვაშს და თავსაც იპარსავდენ; ხშირად კი რელიეფზედ წვერიანი ღმერთებიცაა გამოსახული, რაიცა ბაბილონურ გავლენას მიეწერება. აგრეთვე გვხვდებიან დიდ-წვერიან, ნიკაპის პატარა წვერიან და ულვაშ მოპარ-



სულ ხეთელთა გამოახულებანი არჩევა და დოკუმენტთა რიცხვის  
სამასში არის გამოსახულია ან ვეტლუბრივი მხელური ტრიტ  
პუ. ადგ. იგი განსხვავდება გამოსახითა და დოკუმენტთა რიცხვის  
ინდოგერმან ელოსაგან. და სულ ხეთელი საფილის მიზნების სამიზნები  
იგივე ინდოგერმან ელოს და მატლუბარის უ ჭერელის, თუ უპირო  
ველის ხეთელი, პროტო-ხეთელი, უმველესი მკვიდრი  
მკირე-აზისა და არა თრაქიი დან მოსული ინდოგერმან ე-  
ლი?. არა სულ დაწეს ტიპი უ ჭერელი და დველი ხეთელის,  
არა ინდოგერმან ელი ან ხეთელი შეიძლება ინდოგერმან ელ  
ხეთელი და მოსული არა უ ჭერელი და დველი ხეთელის  
მოსული არა უ ჭერელი და დველი ხეთელი და დველი  
მცხოვრები; ძრობული ძრელი ძრელი ძრელი ძრელი ძრელი  
და ძრელი და ძრელი, ინდოგერმან ელი შეითვისებუ  
ბევრგან კი შეენარჩუნა უ ჭერელი სა შოტლანდი ჩენა ა მიზრად  
მოგვეპოვება აგრეთვე და სურათები ჩერელი ტრიტულ  
რელიეფებშედ, და ცის ტიპები შეიძლება მსუბუქ ან ცალკე ენ  
აღწერილ ხეთელი ტიპები. მცირე და კვირი უ დის პრიმდევ  
ჩენ აქა ცეცნობილობით ინდოგერმან ელი ს შემონის რეზ  
ლითა და ზემოდ აწერელი ზომიერი ცეცნირითა ციტი. სად  
ადგ ხეთის ნაშთოა მოსის მედალება ძალების და უტროშ  
საინტერესო იუსტი ბოლოზ-კოს ასლი მდებარე და აზის იუსტი  
კირა ცელდის რელიეფები, არომედი ზედაც ცეცნი მოხატული  
ხეთის ღმერთების დაუგადარმოვენილი პროცესის მათის  
ცულტისა და ცეცილი, ასადაც დღეს იაზილი-კაი არის, მ  
აღმდეთ უმთავრესი და დღეს და ცეცნი მოხატული  
ნის ცეცისა, პანთეონი ხეთის კი კი დოკუმენტი უ დიდო  
როგორცა სიანს რამდეს მერი ის მდა მარტული მე-III სა  
ხელ უ დერულებიდან და ცის და ტრდედ მიწის ა, მთართა და



პირიანი ნაჯახით ხელში. სხვა სურათებზედ მას სამ-კბილიანი მეხიც უჭირავს ხელში. ისიც ვეფხის ზურგზედა სდგას. „ღმერთთა დედას“ წინ ეგებება უმთავრესი ღმერთი სამეფო სკიპტრით ხელში და ხმალ-შემორტყმული. ეს დიდი ცის ღმერთია მცირე-აზიისა. და იაზილი-კიის რელიეფებზედ შეიძლება გამოხატულია სწორედ ქორწილი ამ დაზი ცას-ღმერთისა და „ღმერთთა დედისა“ — უდიდესი გაზაფხულის დღესასწაული მცირე-აზიისა და ჩრდილოეთ სირიისა.

ასეთს მოჟუვს — ღმერთთ, ცხოველთა ზურგზედ მდგომარეთ, ვპოულობთ კრეტაზედ, კარიაში, აგრეთვე ასსურეთში, ფინიკიაში და შემდეგ თვით ეგვიპტეშიაც, ისე შორს წასულ გავლენა ხეთურ ხელოვნებისა და შეიძლება აგრეთვე სარწმუნოებრივ წარმოდგენათა მოელს ახლო-აღმოსავლეთში. მაგრამ ამ საგნის აქ განხილვა ძლიერ შორს წაგვიყვანდა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს გავლენა ხეთურ ხელოვნებისა საგრძნობელი იყო საბერძნეთშიაც, ხოლო მცირე-აზიაში და ჩრდილოეთ სირიაში იგი თვით ქრისტიანობის ხანის დასაწყისამდისაც კი დარჩა. რაც შეეხება კერძოდ ასსურეთის ხელოვნებას, ყოვლად შეუძლებელია მისი გაეცება, თუ არ გავითვალისწინეთ ერთი უმთავრეს ფაქტორთაგანი მისის განვითარებისა — გავლენა ხეთურ ხელოვნებისა.

თვით ხეთურ ხელოვნებას კი დიდი მომავალი ექმნებოდა, რომ პოლიტიკური არსებობა ძლიერი ხეთისა ხან-მოქალა არ ყოფილიყო და მუდმივ ბრძოლათა ნიადაგად არ გამხდარიყო ხეთის ქვეყანა სხვა და სხვა ხალხთა შორის. ხეთურ ხელოვნებაში დიდი ძალა იყო ჩამარ-

ხული ორიგინალობისა და ამიტომაც იქონია მან დიდი  
გავლენა მეზობელ ხალხთა ხელოვნებაზედ, და რომ ამ ხე-  
ლოვნებას წინ-სლვის ნიჭიცა ჰქონდა, რომ იგი სინამდ-  
ვილის გარდმოცემის იდეალისადმი მისისწრაფოდა, ამას  
საუკეთესოდ ამტკიცებს ერთი შესანიშნავი რელიეფი ბო-  
ლაზ-კოის ქალაქის ერთის კარისა — გამოსახულება ხეთის  
რომელიღაც ღმერთისა: მეტი პროპორცია სხეულის ნაწი-  
ლია, სწორი ნაკვეპა სახისა, ზომიერი მუსკუ-  
ლატურა ხელთა და ფერხთა, ცოცხალი გამომეტყველება  
მთელის სურათისა! ეს უკვე აღარა ჰგავს იმ ტლანქ გა-  
მოსახულებათა, რომელნიც უძველეს ნაშთებზედ გვხვდე-  
ბიან.

**საზოგადოებრივი ცხოვრება.** ხეთელთა საზოგა-  
დოებრივ და ეკონომიურ ცხოვრების შეხახებ არ მო-  
გვეპოვება ისეთი უხვი მასალა, როგორც ბაბილონელთა  
სოციალურ წყობილების შესახებ. და რაც მოგვეპოვება,  
ისიც არ არის ჯერ სავსებით და დაწვრილებით შესწავ-  
ლილი. მაგრამ იქ ყორადღება მაინც უნდა მივაქციოთ  
ხეთურ კანონ-ზღებლობას, რომელიც აღმოჩენილ იქმნა  
ბოლაზ-კოის ბიბლიოთეკაში და რომელიც ძლიერ დამახა-  
სიათებელია ხეთელთა. ხეთურ კანონებს ეტყობა ჰამმუ-  
რაპის კანონთა ზედ-გავლენა, მაგრამ სამაგიეროდ ხეთურ  
კანონთა გავლენა ეტყობა ებრაულ კანონებს (გამოსლვა-  
თა თთ. 21-23 და ლევიტელთა თთ. 18-20). ხეთური  
კანონები კიდევ მით არის საყრადღებო, რომ შედეგია  
კანონმდებლობის რეფორმისა, რომელიც ხეთის სახელმ-  
წიფოში მომხდარა დაახლოვებით მე-XIII-ე საუკუნეში ქრ.  
წინ. ამ ახალ კანონთა კრებული დაახლოვებით მე-XIV-ე

საუკუნის ბოლოს ეკუთვნის, როგორც ჰელნიდან გერმანელ  
ასსირიოლოგს ჰქონის მექრნსა. მართლაც ეჭი ერთხელ  
არის აღნიშნული სხვადასხვა სხვა მუხლში: წინადამადი  
დანა შეულისა ატის ჩესები გადაწყვეტილი, ახლა  
კონესედა ეს არის თ. და განსხვავების რომ დავუკვირდეთ,  
ხეობის კანონების უფრო აღიძინავ ურთიდა ქამობრერეხისა და  
თმი მიულობ ისეციორმის ჩემი დედე, ჩ საზოგადოდ ხეოური მას  
ნორები გაცილებით უფრო აქტიური ურთიდა, გილრე კა  
მინები მამიურავპოთხი და იუდედრებრა ულია ი ხოლო ცხველ  
ასსურულ კანონებისა და უფრო უდინეს ტერიტორია და  
ადგისათ ურთიდებრინი და ცხოველ ცომებრების მას არ იარა  
ხეობის კანონმდებლობა ეხება ბევრ მხარეს საზოგადო  
დოფებისა და ურთიდებრინისა მას ცხოველ ურთიდებრების მასჯე-  
ლი შემთხვევაში სა და გრძელებული მცულე დობობის ტენის  
დასახლირების მთვარს, ქურდამოსამარვის ცენტრალური ხელმინთების  
დასხინიული ხათვას, და არმლის მიუწერისა მარტივი ცხველის  
წაკიდებით გრძელებისა და მუქანდა შემცვება თა ადგის ხელის მცულე  
დოფები: მცულე მოსახურებისა მთვარის ცენტრალური ხელმინთების  
უნიკალური ცენტრალური გრძელების მცულე კონფერენციის და  
საზოგადო მუსიკური ერთობლივი საზოგადო მცულე ერთობლივი  
საზოგადო მუსიკური ერთობლივი საზოგადო მცულე ერთობლივი  
საზოგადო მუსიკური ერთობლივი საზოგადო მცულე ერთობლივი

ლონურ და ებრაულ კანონებით იმავე დანაშაულისათვის ძლიერ წმინდა, ასაურული სამართალი კი სიკუდილ-საც და დასახიჩებასაც კიდევ უფრო წმინდა უსჯიდა და-მნაშევეს. მაგალითად ხეთური კანონი სიკუდილითა სჯიდა კაცს, რომელიც მოიპარავდა სასახლის კარიდან ბრინჯაოს შუშს, რაღაც კაც ეს შუბი წმინდა და საღმრთო საგანი იყო, ხოლო განზრაზ მკვლელობისათვის ოთხი მანა უნდა მიეცა დამნაშავეს იმ ოჯახისათვის, რომელსაც ზაოშლი მიაყენა. სიკუდილით ისჯებოდა აგრეთვე კაცი სახელმწიფოს წინააღმდეგობისათვის, ძლიერ ახლო ნათესავის გაუპატიურებისათვის, საზოგადოდ ქალის გაუპატაურებისათვის, ძროხასთან უზნეობის ჩადენისათვის, მაგრამ ამ შემთხვევებშიაც მეფეს შეეძლო მიტევებია და სიცოცხლე ეჩუქებია დამნაშავისათვის. მეფის წინაშე განსაჩივრება საქმისა და წყალობისათხოვნა შეეძლო დამნაშავეს. სიკუდილით დასჯა იყო ჩვეულებრივ წესად ღვთაების გმობისა, სახელმწიფო ღალატისა და უზნეობისათვის, მაგრამ დამნაშავეს ამ დანაშაულთა მიტევებაც შეეძლო მიეღო მეფისაგან. მხოლოდ ღვთაების გმობა ითვლებოდა უდიდეს დანაშაულად და დამნაშავეს ამას მეფეც კი ვერ მიუტევებდა. რაც შეეხება უზნეობისათვის მიყენებულ სასჯელთ, ერთი რამ მართლაც უცნაური გვხვდება ხეთურ კანონმდებლობაში: თუ კაცი ძროხასთან, ღორთან ან ძალლთან ჩაიდენდა უზნეობას, იგი სიკუდილით ისჯებოდა, ხოლო ცხენთან ან ვირთან უზნეობის ჩადენისათვის მას სამართალი არც კი სდევნიდა. ცხადია, ძლიერ ყოფილი გავრცელებული ეს ცოდვა ხეთელთა შორის.

საზოგადოდ შემდეგი მომენტებია აღსანიშნავი ხე-

თურ სამართალში: 1) ხელმწიფეს შეუძლია სიკვდილის სასა-  
ჯელი უქმეტეს შემთხვევაში და მნაშევეს მოუტევოს. 2) სხეუ-  
ლის დასახიჩრება, რასაც ისე ხშირად უსჯიდა ასაურული  
კანონი და მნაშევეთ, არ არის მიღებული ხეთურ სისხლის  
სამართლისაგან როგორც სასჯელი. 3) ხეთური კანო-  
ნი აწესრიგებს საკუთრების განწყობილებათა: საკუთრე-  
ბა განსაზღვრულია უფლებრივად, მესაკუთრე უზრუნველ-  
ყოფილია ზარალისაგან და სხვ.. 4) ქალის მდგრმარე-  
ობა შედარებით თავისუფალია და მისი უფლებანი სამარ-  
თლით არიან უზრუნველყოფილიანი. 5) განსაზღვრულია  
დამკიდებულებანი კლისტა— თავად-აზნაურთა, გლეხ-  
თა, ვაჟართა, სამდვდელოთა და მონათა შორის.

კანონმდებლობიდან სჩანს, ომ ხეთის ქვეყანაში  
ყოფილა იმ დროს ფეოდალური წეს-წყობილება, მსგავსი  
ვგვიპტის შუა-ხნის სახელმწიფოს ფეოდალიზმისა, და მე-  
ფის უფლებაც ამ სისტემით ყოფილა შეზღუდული. კა-  
ნონები ვგვიჩვენებს აგრეთვე გადასახადების ხასიათსა და  
ბევრ მხარეს ხეთურ საზოგადოებრივ ცხოვრებისას, რაზე-  
დაც აქ ლაპარაკს აღარ განვაგრძომთ, რადგანაც კერ  
კიდევ ღრმა იურიდიული ინალისი სკირდება ამ აქტად  
აღმოჩენილ სამართლასა.

ადრე ეს და აფეთქებული არ აღმოჩენა მომართობის  
მას მისამართობის იუდ ცური იქ იმ ამოუბრუჩნეობი  
არის არეგული იყო. მანაცძელ ითხოვის მით მით  
მიწის ისახავების მიმდევარ მისამართობის  
ადგენერაციას არ არის აუცილებელი არ უარ იმუსახანობა  
ამოვადოს. მიმომ ამოვადოს ფინანსურული ადგენერაცია  
არ არის იმ იმის მისამართობის არ დანართდენ ტოტევობას.

ცენტრ-ის ლიმიტური შეზღიურები სწორი მოძრავი  
ანცხადებული რეალისტური მოძრავი იქნიონ თუ მარტინ გრინ  
უკავშირი და მიმდინარე მიმდინარე მუნიციპალიტეტები და კონსტიტუციები  
მიმდინარე კონსტიტუციები - უკავშირი იქნიონ თუ მიმდინარე მიმდინარე  
არც ხელისა არც სარწმუნოების შესახებ მოგვეპოვება  
ისეთი უხვის ცნობები, როგორც უგვიპტელთა ასუმერთა,  
ბაბილონელთა და ასსურთა სარწმუნოების შესახებ. ხასი-  
ათი უგვიპტისა და სუმერეთ-ბაბილონ-ასსურეთის ღმერთ-  
თა, მათი სახელები, მათი დამოკიდებულება ურთიერთ-  
თან, მათი მიერ გამოხატულნი ძალის ბუნებისანი, მათი  
დამოკიდებულება ცის მნათობებთან, მათი კულტი, აგ-  
რეთვე უგვიპტური და ბაბილონური მითოლოგია — ვი-  
ციონ ხოლო ხეთისა თვით პანთეონის კვლევა არ დამთავ-  
რებულა ჯერ კიდევ. რაც ვიციონ ხეთის პანთეონის შე-  
სახებ, უგვიპტური და ხეთური წყაროებიდან ვიციონ, მაგრამ  
აქ ძლიერ გვშველის ბერძნული წყაროები, რომელიც  
ცნობებს გვაძლევს მცირე-აზიის სარწმუნოებათა შესახებ.  
ყოველივე ეს კი ასავმირისი არ არის, რომ სრულიად ნამ-  
დვილი წარმოდგენა ვიქონიოთ ჟრომბი ხეთელთა სარწ-  
მუნოებაზედ: ჯერ კიდევ უნდა ვუცადოთ ხეთურ ლურს-  
მულა მასალის სუნჩად შეგროვებას. მშოლოდ ერთი კი  
ახლაც ცხადია: სხ, რომ მთელ მცირე-აზიის სარწმუნო  
ებრივ წარმოდგენითაც კომპლექსში უკველად არსებობს  
რაღაც ერთობა, რომ ამ სარწმუნოებრივ წარმოდგენს  
საფუძვლად უდევს ერთი უძველესი და უპირველ-უთვი-  
ლესი სარწმუნოება, — იღბათ უძველეს არა-ინდოგვრმა-  
ნელ ხეთელთა სუნდაციურ და დამუშავებულ მა-

ფართო რამზეს მე-II-ისა და ხატტუსილ მე-III-ე ხე-  
თელთა მეფის ხელ-შეკრულებაში, ოოგორც უკვე ზემო-  
და ვსოქვით, ჩამოთვლილია ხეთის ღმერთები. ეს ხელ-  
შეკრულება იმოწმებს ათასს ღმერთს ხეთისას. ათასი ღმერ-  
თი არ არის ჩამოთვლილი ხელ-შეკრულებაში, მაგრამ  
უმთავრესნი ღმერთნი დასახელებულნი არიან: პირველად  
„მზის ღმერთი“, „ბატონი ციხა“ და „მზის ღმერთი“,  
„ბატონი ქალაქ არინნასი“. ეს ქალაქი არინნა, ოოგორც  
ვიცით ბოლაზ-კოის ლურსმულიდან, ძველ, არა-ინდო-  
გერმანელ ხეთელთა ქალაქი იყო, საღაც-პროტო-ხატტურს  
მეტყელებდენ. შემდეგ არიან ჩამოთვლილნი შუტებ (სეთ),  
„ბატონი ციხა“, და შუტებ ქალაქ ხატტუსის, ხეთის სა-  
ტახტო ქალაქისა, და შემდეგ კიდევ ალკე ქალაქთა შუტე-  
ხები. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ეს ეგვიპტური შუტებ ხეთუ-  
რად იწოდებოდა თე შუბ-ად, მაშასადამე ინდოგერმანელ  
ხეთელთა სატახტო ქალაქში ძველის ხეთურს ღმერთის,  
არა-ინდოგერმანულის თე შუბის კულტი ყოფილა, კულ-  
ტი წვიმისა და ჭექა-ჭუხილის ღმერთისა, რომელიც იყო  
აგრეთვე უმთავრესი ღმერთი მიტანელთა და ქალდთა, ანუ  
ურარტელთა. ეს უკანასკნელნი მას თე ეშბა-ს უწოდებდენ.  
იჯი მეორე ღმერთი იყო მათის სამებისა: ქალდი, თე იშ-  
ბა და არდინი (მზის ღმერთი). — შემდეგ აღნიშნულია  
ხეთის ასტარტე, „ქალ-ღმერთი ხეთისა“, შემდეგ ქალ-  
ღმერთები და კაც-ღმერთები ცალკე აღვილთა, მაგრამ ამ  
ღმერთთა სახელნი მოხსენებულნი არ არიან. ქალ-ღმერთ-  
თა შორის იხსენიება დიდი ქალ-ღმერთი, „ციხის-დედოფა-  
ლი“. შემდეგ მოიხსენიებიან ფიცის ღმერთები, მათ იშო-  
რის უმთავრესი „დედოფალი მიწისა, ფიცის ქალ-ღმერთი“

იშხარა“, რომელიც ბაბილონისა და ასსურეთის პინთე-  
ონშიაც გადასულია, და თდედოფალი მთათა და მღინარე-  
თა ხეთის ქვეყნისა“. სულ ბოლოს არიან მოხსენებულ-  
ნი კიცუფაღნას ანუ კაპპადოკიის ღმერთები. — უმთავრესნი  
ამ ღმერთთაგანნი იაზილი-კარს კლდეზედ არიან გამოსა-  
ხულნი.

უდიდესი ეროვნული ღმერთი ხეთელთა ყოფილა ზე-  
მოხსენებული თეშუბ, რომელიც გამოსახულია ორ-პირი-  
ანი ნაჯახითა და სამ-ენიანი ელვით (მეხით) ხელში. იგი  
წვეროსანიც არის ხოლმე გამოსახული. და ეს, რასაკვირ-  
ველია, სემიურ გავლენას მიეწერება. მთელს მცირე-აზია-  
ში იყო გავრცელებული კულტი ამ ნაჯახიან ჭექა-ჭურ-  
ხილის ღმერთისა: მაგალითად კარელები თაყვანს-სცემ-  
დენ ღმერთს, რომელიც იგივე თეშუბია და ცნობილი  
ბერძნული სახელით Ζεὺς Στράτιος. მისი საკურთხევე-  
ლი ლაბრაინდაში იდგა. ეს სიტყვა კი წარმოსდგება სიტ-  
ყვისაგან პატია, რაიცა შეიძლება ორ-პირიან ნაჯახს ნიშ-  
ნავდეს. ძველ კრეტის ნაშთთა შორისაც ვხედავთ ორ-პირ-  
იან ნაჯახს, როგორც სარწმუნობრივ სიმბოლოს. თე-  
შუბი აგრეთვე ომის ღმერთად ითვლებოდა, როგორც  
Ζεὺს Βροντών (მჭექარე ზევსი) ფრიგიაში და სხვ...  
აგრეთვე სხვა ღმერთებს: მთათა და წყალთა, ნაყო-  
ფიერებისა და წვიმისა თაყვანს-სცემდენ მცირე-აზიაში  
მათი სახელებიც ბერძნულად არის დარჩენილი. ბევრს  
მათგანს აგრეთვე ზევსი ჰქვია მისი კულტის ადგილის  
სახელის ეპთეტითურთ, მაგრამ ხშირად ძნელია გამორჩ-  
ევა, თუ რომელ ძველ ხეთურ ღმერთებს უდრიან იგინია  
აქ ადვილად შეიძლება შეცდომაში შევიდეს მკვდევარი,

ხეთულები თაყვანს-სცემდენ შზეს და მთვარეს, როგორც ეს ხეთურ რელიეფებიდანა სჩანს (მაგ. დემონები, რომელთაც ნახევარ-მთვარე უჭირავს). — მთვარის კულტი მთელს მცირე-აზიაში იყო გავრცელებულია — კარიაში, ფრიგიაში, კაპიათლკიაში და სწერან, და როგორც დამტკიცა ივ. ჯავახიშვილმა, იგი მთელს საქართველოში მიაც იყო გავრცელებული. მთვარე მცირე-აზიაში, როგორც საქართველოში, ორაკულის ღმერთი იყო, მომავლის წინასწარ-მჟრტველი, და როგორც საქართველოში ვიცნობთ მას წმ. გიორგის სახელით, ისე ბერძნულად იგი ხან ზევსად არის დასახული, ხან ღმერთთა ღედის საყვარლად, ხან აპოლონოდ. ქადაგადაღულ ქილ-ჭულთა პირით ამცნობს იგი ხალხს მომავალს, როგორც ჩვენი წმ. გიორგი, და შეიძლება კულტი დელოსის აპოლონი, რომელიც უზიღესი ღმერთი იყო თავით რაკულისა საბერძნეთში, ბერძნთაგან მცირე-აზიიდან იყო გადაღებული, — ძველი ხეთური კულტი, — თუმცა თვით ღმერთი პიოლლო ბერძნთა ეროვნული ღმერთიც იყო, ღმერთი მწყემსთა და საქონლის დამცელი. იდენტიფიკაცია პიოლლოსი და მცირე-აზიის თავით რაკულის ღმერთისა შეიძლება შემდეგ მოხდა, როდესაც კულტი ამ უკანასკნელისა მემოვიდა საბერძნეთში. საკურადღებო მოვალეობა შემდეგად მოხდა მტკიციაში, რომ ილია და მითოლოგიაში აპოლონი ბერძნთა მტკიცია, მომხრე ტრაელთა, და მითოლოგიაშიც აპოლონის დედას პერია Latin, ხოლო ლიდიურად Iadi და ქალდურად (ურარტულად) Iatu. ნიშნებს „დედაკუცა“ თვით „ხეთურად“ რა ერქვა მთვარის ღმერთს, ან მთვარის, არ ვიცით.

მცირებაზიაში იყო გვრეთვე ძლიერ გავრცელებული  
კულტი მცენარეულობის ღმერთის სანდონისა, რომელიც,  
როგორც გვაჩვენებენ ბოლაზ-კოის ლურსმული ტექსტე-  
ბი, იგივე ლურსმულ ტექსტთა Santas-ია. უმთავრესი ად-  
გილი მისი კულტისა იყო კილიკია. აქ მართლაც არის  
ეხლანდელ ერეგლის ახლოს ღმერთი სანდონი კლდეზედ  
გამოხატული. ღმერთის ტან-სატელი ხეოური აცვია, მა-  
გრამ წვეროსანია, სქელ-ტუჩებიანი, დიდ და სქელ, მო-  
კაუჭებულ ცხვირიანი. ხოლო მის წინაშე მდგარი და მი-  
სი თაყვანის-მცემელი მეფე ასსურული და არის გამოწყო-  
ბილი. ცხადია ეს სურათი გვიანდელი, სემიური ძლიერი  
გავლენის დროის რელიეფია, მაგრამ ხეობის ღმერთი მა-  
ინც ცხადადა სჩანს ამ რელიეფზედ. მას ერთ ხელში პუ-  
რის თაველი უჭირავს, მეორეში ჟაზი, რომელზედაც ყურ-  
ძნის მტევნები ჰქიდია. ეს არის გამოსახულება ღმერთის  
სანდონისა, რომელსაც ბერძნები თავიანთ ჰერაკლეს ადა-  
რებდენ. — სანდონს მისი უმთავრესი დღესასწაულზედ,  
გაზაფხულზედ, უზარ-მაზარ ჭია-კუკონას უმართავდენ  
ხოლმე, და ეს ჭია-კუკონა ხომ ჩვენშიაც ბრის ჩვეულე-  
ბად ძველთაგან დარჩენილი. მისი გამართვაც საქართ-  
ველოში უსწორედ ვენხებში იცინ. — ტარსისის,  
კილიკიის მთავარი ქალაქის ფულებზედ საბერძნებისა და  
რომის ეპიკაშიაც გვხვდება გამოსახულება სანდონის,  
რომელიც სდგას დასწველ შეშის ხორაში ლომის ზურგ-  
ზედ, ხმლითა, შეილდითა და ისრის ბულითა, ორ-ვისტ-  
ანი ნაჯახითა, და ავრეთვე ყუავილით ან გეირგენით,  
რაიცა იშის მაჩვენებელია, რომ იგი მცენარეულობის  
ღმერთია. მას მსნვერპლად სწირავდენ ცხვრებსა, რომელ-

საც მოპრილ ხეზედ დაჰკიდებდენ ხოლმე, და მის დღე-  
სასწაულზედ ამ ხის ცეკველას წაკიდება იცოდენ. ასეთი კულტი და დღესასწაულები ღვთაებათა მოელს  
მცირე-აზიაში იყო გავრცელებული. ატრის-ის დღესასწა-  
ული, დღესასწაული „დმერთთა დედის“ საყვარლისა გა-  
ზაფხულზედ იყო. მას აღმუმართავდენ ხოლმე ყვავილებით  
შემკულ ნაძვს და ჩამოჰკიდებდენ ხეზედ ღმერთის გამოხა-  
ხულებას. მერმე ხეს შესუღოავდენ მიცვალებულსავით და  
შემდეგ წელიწადს დასწვავდენ. ამას იქმოდენ ნიშნად ბუ-  
ნების განახლებისა გაზაფხულზედ და მისის სიკვდილისა  
ზამთრის პირს. — ფრივიელების ოწმენითაც მათი კის  
ღმერთი გაზაფხულზედა ჰქმნიდა ცხოვრებასა და ზამთარ-  
ში კი მიიძინებდა ხოლმე. ზევსის ბერძნულ მითოსში, ოთ-  
რელიც მოგვითხრობს მისს დაბადებას, აღზრდას, ბრძო-  
ლას მამა-მის კრონოსთან, ომელსაც შვილის შექმა უნ-  
დოდა, და ბოლოს ზევსის გამარჯვებას, იგივე ბუნების  
მოვლენაა გამოხატული. კრეტის ზევსი კი ყოველ წელს  
ახლად იბადებოდა ყოველ წლიურ სიკვდილის შემდეგ და  
კნოსსოსის ახლოს მის საფლავსაც კი აჩვენებდენ. და  
ყოველივე ესე მეორეს მხრით გვაგონებს ეგვიპტის ოზი-  
რისისა, ბაბილონის ტამუზისა და ბიბლისის აღონისის მი-  
თოსებს, გამომხატველი ბუნების პერიოდულ მიძინებისა  
და გაცოცხლებასა — „აღვგომისა“. საყურადღებოა, ოთხ  
ჩვენი აღდგომაც გაზაფხულზედ არის ხოლმე და ამ დღე-  
სასწაულს აქვს კავშირი უძველეს მცენარეულობის ღმერთ-  
თა დღესასწაულებთან.

ქალ-ღმერთი „დედა“ მშობელი სხვა და სხვა სახე-  
ლებით არის ცნობილი მცირე-აზიაში. იგი მოებში ცხოვ-

რობს და ეწოდება „მთის დედა“<sup>1</sup>. იგი ცნობილია სხვა-  
თა შორის პკიბელებს სახელით და წარმოადგენს ქალ-  
ღმერთს ნაყოფერებისას, მცენარეულობისას და ბუნების  
სიცხოვლისას. ბერძნებმა იგი თავიანთ არტემისის შესა-  
ტყვისად გახადეს. კიბელა გაზაფხულზედ ტყეებში დადის,  
სდგას ლომის ზურგზედ და მას უკან მიჰყვებიან მხეცნი  
მთისანი. კულტი მისი გამოიხატებოდა მით, რომ აღამი-  
ან ები თრგიებით ხვდებოდენ დათავების გამოჩენას. ქალ-  
ღმერთი ლამაზ ატტისს ეძღვოდა სიყვარულით და ამას  
დღესასწაულობდა ხალხი. და თუ მოვიგონებთ ზემოხსე-  
ნებულ იაზილი-კაიას კლას რელიეფებს, მაშინვე წარ-  
მოვიდგება თვალ-წ.ნ. კიბელესა და ატტისის მსგავ-  
სება ხეთურ მიწის ქაჲ-ღმერთთანა და ცის ღმერთთან,  
რომელთა ქორწილის პრიცესისაც უნდა იყოს იაზილი-  
კაიას კლდეზედ გამოსახული. შეიძლება ეს ქალ-ღმერთი  
თვით იშარაც იყოს, „მიწის დედოფალი“. როგორც  
ბაბილონის ღმერთი ტამუზი კვდება და ცოცხლდება პერი-  
ოდულად, ისე ატტისი ხეთისა და აღონისი ბიბლოსისა  
ხდებიან მსხვერპლად სიკვდილისა, გამოეცხადებიან რა  
ჯერ აღამიანთ ციდან სასიხარულოდ. აღამიანიც, თუ  
იგი განუსაზღვრელ სიხარულს განიცდის ღვთავების გამო-  
ჩენის გამო, სამაგიეროდ უსურმესს გლოვასა და მწუხა-  
რებას ეძლევა მისი სიკვდილს მიზეზითა და მართლაც  
დიდი მწუხარება იყო ხოლო მორწუნეთა შორის ტამუ-  
ზისა, ადონისისა და ოზირისის სიკვდილის გამო ბაბი-  
ლონში, ბიბლოსში და ეგვიპტეში, ხოლო მცირე-აზია-  
ში, მაგალითად კომანაში, შორწმუნენი გლოვის დროს  
თავს ილახავდენ და ისისხლიანებდენ, როგორც ეგვიპტე

ლები რზირისისათვის. ასეთ ჩვეულებას დღესაც ვხედავთ შიოტთა შორის, რომელნიც აღისა და ჰუსეინის გლოვის დროს თავს ისახირებენ ხოლმე. — მცირე-აზიაში მორწმუნე მამაკაცები თავსაც იკოდავდენ, რომ ამით უდიოები მსხვერპლი შეწირათ გარდაცვლილ ლვთაებისათვის, ხოლო დედაკაცები საღმრთო როსკიპობას ეძლეოდენ, და ძლიერაც იყო გავრცელებული ეს უკანასკნელი ჩვეულება მთელს მცირე-აზიაში და აგრეთვე ბაბილონ ეთში. ეს ჩვეულებანი აღბათ ძველნი ხეთურნი იყვინ, და შეიძლება აგრეთვე ყრმათა მსხვერპლად შეწირვაც ლვთაებისათვის — ცნობილი ჩვეულება ჩრდილოელ სემიელთა აგრეთვე მცირე-აზიურ ხეთური იყო და ხეთელთაგან გადაღებული სირიელ სემიელთა შექ. — შესაძლებელია ფრანგულე, რომ ამაზონთა თქმულებისაც ხეთის ნიაღაგზედ ჭიონოდა ნიაღაგი, როგორც ამას ჰეიქონის გერმანელი მეცნიერი Leo Hiliard (Hestites und Amazonen). მართლაც, ეს ამაზონები თითქოს შავი აზლეის ნაპირზედ სცხოვრობდენ, თემისკირის ქვეყანაში, მდინარე თერმოდონზედ, ე. ი. ქველ კიცუფალნას ანუ კაპპალოკიის ჩრდილოეთ მიდამოებში. და, შეიძლება, როგორც კაცები იკოდავდენ თავს ღვთაების უზენაეს მსახურებისათვის, ისე ქალები აშობდენ ქალობაზედ ჟარსა და მამაკაცებს უცხადებდენ. შრმოლას, რომ ამით მიეტანათ უმაღლესი მსხვერპლი საყვარელ ლვთაების წინაშე, რომელისაც იგლოვდენ, და აქედან წილმოსდგა თქმულება ამაზონებზედ. ერთად მარერი, მაგალითად, ისე ხსნის და თქმულების წარმოშობას, — ზემოხსენებულ კულტში ეძებს ამაზონთა თქმულების შეჭრის საფუძველსა.

მცირე-აზიაში განვითარდა აგრეთვე საკუთარი,  
 შეიძლება ბაბილონურ თქმულებიდან დამოუკიდებელი  
 თქმულება წარლვნისა და სხვ.. —

ასეთი იყო გავლენა ხეთულთა სარწმუნოებისა მთე-  
 ლის მცირე-აზიისა და საბერძნეთის სარწმუნოებებზედ და-  
 რელიგიურ წარმოდგენებზედ, კულტზედ, თქმულებებზე-  
 ზედ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ხეთულების კულ-  
 ტურის გავლენა შეიძლება კიდევ უფრო შორს უწევდა.  
 ყოველ შემთვევაში ხეთის კულტურულ მოვლენათა პა-  
 რალულებებსა და დანართის შეთიღება კვეყნები-  
 ში. რომ ასურეთისა და სირიის სემიელებზედ ხეთულების  
 ჰქონილათ დიდი გავლენა, ეს არ არის გასაკვირველი;  
 რაღაც იგინი ხეთულთა მრავალურე ჩალხნი იყვნენ და  
 თვით რასა სირიისა, ასურეთისა და სხვა შათ ახლო  
 მდებარე ქვეყანათა ნარევი იყო ხეთულთა და სემიელთა;  
 როგორც ამას ანთროპოლოგიურნი კვლევანიც ამტკიცე-  
 ბენ. მაგრამ რით აიხსნება მსგავსება ბიბლოსის ადონისი-  
 სა, ხეთის ატრისისა, ბაბილონის ტამუზისა და ეგვიპტის  
 იზიდისის კულტია? საიდან არის მსგავსება ხეთულთა  
 ლმელთის თეშუბისა და სემიურ-ბაბილონურ და რამეულ  
 ლმერების ჰადადისა? ვისი იყო უბირველესად კულტი  
 მთვარისა, რომელიც გავრცელებული იყო როგორც  
 მცირე-აზიაში და საქართველოში, ისე ბაბილონეთში და  
 სამხრეთ არაბეთშიაც კი? ანუ სალმრთო როსკიპობა, თქმუ-  
 ლება წარლვნისა და სხვა საერთო დამახასიათებელნი მხარენი  
 მცირე-აზიისა და ბაბილონის რელიგიურ-სულიერ ცხოვრ-  
 ებასა და შემოქმედებისა? მიეწერება ყოველივე ქსე დაშოუ-  
 კიდებელ განვითარებას კულტურათა და მსგავს მოვლენათა

წარმოშობას დამოუკიდებლად ურთი-ერთზედ გავლენისა, თუ ამ ორი ქვეყნის კულტურათა ურთი-ერთზედ გავლენას, და ჩვენ კი არ მოგვეპოვება საკმარისი მასალა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ეს გავლენა? ან და იქნებ არსებობს ძლიერ შორეული ერთობა და ნათესაობა სუმერთა და მცირე-აზიელთა შორის და უმეტესნი ნაყოფნი მათ კულტურულ შემოქმედებისა, მსგავსნი ურთი-ერთისა, უძველეს საერთო წარმოშობისანი არიან? — პასუხი ამ კითხვებზედ აქ არ შევვიდლია, ხოლო ვფიქრობ, რომ ერთობის ძაფის გაბმა მცირე-აზიასა და სუმერეთს შორის არის შასაძლებელი. წინააღმდეგ აქამდე გავრცელებულ აზრისა მეცნიერებაში, თითქოს სუმერთა და მცირე-აზიის ხალხთა შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობდეს, მე-ვფიქრობ, რომ არსებობს ეს ნათესაობა, თუმცა ძლიერ შორეული და ფრიად ძნელად საკვლევი.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც უკვე ზემოდა ვსოდეთ, არიულნი ღმერთი მიტრასსილ (მიტრა=მზე, ხელ-შეკრულების ღმერთი), არუნასსილ (ვარუნა=წყლის ღმერთი, ღმერთი ფიცისა) და ნასა ტტიანა (მშველელი ტყუპი ღმერთი) არ ყოფილია შესულნი ხეთელთა პანთეონში და არც გამხდარან ღირსნი კულტისა მსგავსად ნამდვილ ხეთურ ღმერთთა, თუმცა, რასაკვირველია, მათი თაყვანისცემაც იქმნებოდა გაურცელებული მცირე-აზიის მკვიდრთა შორის იმდენად, რამდენადც ამ ღმერთთა შემომტან არიელებს და მათ სარწმუნოებრივ წარმოდგენებს. ადგილობრივ ჰალხებზედ იქმნებოდათ გავლენა.

დისტანციულ-ციფრულ-კონტაკტულ-განავითებულ- სარწმუნოებულ რიპი-  
ტესტური ელექტროგაზ ჰანტულ საჭარარო.  
სარწმუნოებული.  
ამტკიცის უსაშორისებრობისა და უსაშორისებრობის ეფექტურობის სარწმუნოების მიზნის  
მიზნის დროს უძველეს ქართულ საწარმართო სარწმუნოებაში უხდედათ,  
რამდენადაც წარმართობა დღესაც დაუუსრია ქართველ  
ხალხის სარწმუნოებრივ წარმოდგენებში და ზნე ჩვეულება-  
ში, არამედ თვით ქველ ქართულ შეერლობაშიც, რომელიც  
კუტას, მაგრამ ფრინად საყურადღებო ცნობებს შეიცავს  
ქართველთა წარმართობის შესახებ.  
უპირველეს ყოვლისა ლირს-შესანიშნავია პროტო-ხოტ-  
ტური ხახელი ელვა-ჭექის ღმერთისა Târă, რიცა შეიძ-  
ლება იყოს ქართული სიტყვა «ტაროსი». — ხეთელთა ქალ-  
ღმერთი Işhara „მიწის დედოფალი“, რომელსაც ბაზა-ს-  
სურნიც თაყვანს-ხცემდენ და ოგრეთვე „აღგილთა დედო-  
ფალს“, უწოდებდენ (béletdadmér), ცნობილი საქართვე-  
ლოშიაც — აფხაზეთში — იმავე ხეთური ხახელით აფაპარა  
ანუ აშახარა და მსგავსის ეპითეტით: „ფუძის ანგელო-  
ზი“. ივ. ჯავახიშვილმა თვითი „ქართველ ერის ისტორია“  
ში I. წიგ. აღნიშნა ეს ქალ-ღმერთი აფაპარა, როდესაც  
იგი იკვლევდა ქართულ ქველ საწარმართო სარწმუნოებას,  
მაგრამ მისს მახვილ ყურიდ-ღებას გამოეპარა ის გარემოება,  
რომ აფხაზური ქალ-ღმერთი აფაპარა იგივე ხეთური ქვე-  
ღმერთი იშხარა არის, რომლის კულტი ძლიერ იყო გავრ-  
ცელებული მცირეაზიაში და შეა-მდინარეში და რომელიც

ერთ ელამურ წარწერაში იკვადის მეფის ნარამ-სინ-ისა (მიახ-  
ლოვ. 2594-2551 ქრ.წ.) გვხდება სახელით Aşlara. --ჩვენე-  
ბური კულტი „ღვთის-შშობლისა“, ვარდობასთან შეერთე-  
ბული, აგრეთვე უძველესი ნაშთის წეთის დიდის ქალ-ღმერ-  
თის, „ცის დედოფლის“, „ღმერთთა-დედის“, ბუნებისა და  
მცენარეულობის ამ უდიდესის ღვთაების კულტისა, რომე-  
ლიც ევროპაშიც ყოფილი გავრცელებული და დღესაც არ-  
ის დარჩენილი, როგორც კულტი მაღონნისა და სხვ.. და კი-  
დევ ბევრი მოიბოვება საქართველო ოში ნაშთი ძველ ხეთურ  
სარწმუნოებრივ წარმოდგენათა და კულტთა, რაიცა იც.  
ჯავახზე შეიღლს მხოლოდ ნიწილად აქვს გამორცვეულია, ან  
ეჭი მაგრამ, როგორც უკვე ცხადებით, თვით ძველ ქირ-  
თულ მწერლობაშიც არის გამოძახილი უძველეს ხეთურ  
სარწმუნოებისა და „მოქცევად ქართლისად“, „ცხოვრება  
წმ. ნინოსი“ და „ქართლის ცხოვრება“ ამ მხრით არც ისე-  
თა სუმნიშველონიარინ, როგორც 1902 წელს ეგო-  
ნა მაგალითად პროფ. ა. ა. მარტინ. იმსაყურადღებოა ამ  
მხრით მარტის შეტილი: „წარმართ საქართველოს ღმერთ  
ნი“ (Zap. Vost. Ost. Imper. Russk. Archæol. Ob. t. XIV,  
1902) და ი. ჯავახზეიღლის აზრი ამავე საგნის შესხებ,  
გამოთქმულიხმის მიერ „ქართველ ერის ისტორიის“ I.  
წიგნში, სადაც იგი ჩვენი ძველი მწერლობის ცნობებს ქართ-  
ული წარმართობაზე მარტის - თუაღმ-მაშრისით აფასებს.  
სახელმოდ დასახელებულ ქართულ წყაროებში არის  
მოხსენებული ღმერთები წარმართ ქართველთა. ასეთი,  
ზაღვნ, გაც და გაიანუ გაიმ მოხსენებულნი არიან „წმ.  
ნინოს ცხოვრებაში“, ხოლო „ქ. ც-ბა“ და „მოქცევად  
ქართლისად“ კიდევ უმატებენ დორთ ღვთაებას; აინინა-სა

და დანინა-სა, კუ „შე- ნინოს ცხოვრებაში“ და „ქ. ც-ბა“—  
 ში მოხსენებულია კიდევ ერთი ღმერთი—ქალდეველთა  
 ღმერთი—ითრუჯან. ანუ ითრუშანა, მტერი—არმეზისა.  
 ყველა ამ ღმერთთა კერძები ყოფილა აღმართული მცხე-  
 თაში ზემოხსენებულ წყაროთა ცნობით და მათ დიდის  
 ზემით თაყვანს-სცენტრი მეფე და ერი და სწორავდენ  
 მსხვერპლთა.

მაგრამ განვიხილოთ ამ ღმერთთა სახელები და ხა-  
 სიათი— მართლა სპარსთა ღმერთები იყდნენ შრავერი სა-  
 წარმართო ღმერთები ქართველთა, როგორც ეს ეგონა  
 ნ. მარტინი და შეიძლება დღისაც ბერის ეგონოს? — სახე-  
 ლი მთავარის ღმერთისა არჩაზ შეიძლება ნამდვილად  
 უდრიდეს სპარსულ ორჩუზდს, ე. ი. აჭურა-მაზდას.  
 ჩენ ვიცით, მართლაც, რომ სპარსული საწმუნოება,  
 მახდაიზმი უკვე დიდი ხნიდან იყო შემოსული საქართ-  
 ველოში და სპარსელები ქრისტენინად, ქართველთა  
 მიერ ქრისტიანობის შილებადის და ქრისტიანობის მიღე-  
 ბის შემდეგაც დიდი პროპაგანდას ეწეოდენ ზოროასტრის  
 საწმუნოებისას, განსაკუთრებით კი იმ ხანები, როდე-  
 საც სპარსთა პოლიტიკური გაფლენა და ძალა დიდი იყო  
 საქართველოში. ასეთ ნაირადვე მოქმედებდენ სპარსნი  
 ყველგან, საღაც კი დამცველრებოდა ხოლმე მათი პოლი-  
 ტიკური ძლიერება. მაგალითად სომხეთში სპარსელებმა  
 ისე აღმოჰკვეთეს სომხური ერთგნული წარმართობა, რომ  
 თითქმის სრულდა ირა ვიცე-რა დღეს შემნდა სომ-  
 ხურ წარმართობაზედაც ისეთი დიდი გაფლენა მოხედინა მაზ-  
 დაიზმის, რომ არმაზი (აჭურა-მაზდა) სახელად სდებოდა

